ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სატენდერო კომისიის სხდომის

ოქმი №1

ქ. ოზურგეთი

3 ივლისი 2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

კომისიის თავმჯდომარე: ბეგლარ სიორიძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ალეკო ბურჭულაძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ვიცე-მერი.

კომისიის წევრები: მარიკა ნაცვალაძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, მერაბ წივწივაძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების, ქონების მართვის, ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტისა და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, გიორგი ხუროშვილი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი; დავით გორდელაძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და შესყიდვების განყოფილების უფროსი.

სატენდერო კომისიის აპარატის წევრები: მარინა დათუნაშვილი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი, მედეა მჟავანაძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის საფინასო-საბიუჯეტო სამსახურის ბუღალტერიის განყოფილების მთავარი სპეციალისტი.

/თავმჯდომარეობდა ბ. სიორიძე/

დღის წესრიგი

მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების (ქალაქ ოზურგეთში, მდინარე ბაზრისწყლის ორივე მხარეს ნაპირდამცავი ჯებირების მოწყობის სამუშაოები (ნარჩენი)) შესყიდვისათვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის პროცედურის ჩასატარებლად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოსაცხადებელი დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცების შესახებ.

მომხს. დ. გორდელაძე

მოისმინეს

მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების (ქალაქ ოზურგეთში, მდინარე ბაზრისწყლის ორივე მხარეს ნაპირდამცავი ჯებირების მოწყობის სამუშაოები (ნარჩენი)) შესყიდვისათვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის პროცედურის ჩასატარებლად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოსაცხადებელი დოკუმენტაციის განხილვა-დამტკიცების შესახებ.

აღინიშნა:

მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების (ქალაქ ოზურგეთში, მდინარე ბაზრისწყლის ორივე მხარეს ნაპირდამცავი ჯებირების მოწყობის სამუშაოები (ნარჩენი)) შესყიდვისათვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის პროცედურის ჩასატარებლად სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში გამოსაცხადებელი დოკუმენტაცია შესაბამისობაშია „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებასთან.

კომისიამ გადაწყვიტა:

1. მოწონებულ იქნეს და დამტკიცდეს მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოებისა და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოების (ქალაქ ოზურგეთში, მდინარე ბაზრისწყლის ორივე მხარეს ნაპირდამცავი ჯებირების მოწყობის სამუშაოები (ნარჩენი)) შესყიდვისათვის გამარტივებული ელექტრონული ტენდერის პროცედურის ჩასატარებლად შედგენილი განცხადება და სატენდერო დოკუმენტაცია.
2. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს განცხადების და სატენდერო დოკუმენტაციის ატვირთვა სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით – 223 540 ლარი.
3. შეთავაზების ფასის კლების ბიჯი განისაზღვროს 2000 ლარით.
4. სატენდერო კომისიის აპარატმა უზრუნველყოს სატენდერო განცხადებისა და დოკუმენტაციის ელექტრონულ სისტემაში განთავსება ოქმის ხელმოწერისთანავე.

კომისიის თავმჯდომარე:	გ. სიორიძე
კომისიის თავმჯდომარის მოადგილე:	ა. ბურჭულაძე
კომისიის წევრები:	მ. ნაცვალაძე
	მ. წივწივაძე
	გ. ხუროშვილი
	დ. გორდელაძე